ქალთა პროტესტი და დათმობა/რეპრესია ახლო აღმოსავლეთის ისლამურ ავტორიტარულ სახელმწიფოებში

(საუდის არაბეთის სამეფოსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის მაგალითზე)

სალომე ჯანაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, პოლიტიკის მეცნიერების საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად.

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023 წ.

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ სხვა მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

სალომე ჯანაშვილი, 15.06.2023

აბსტრაქტი

ცენტრალურ ისლამურ ავტორიტარულ სახელმწიფოებში - ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და საუდის არაბეთის სამეფოში ქალთა უფლებები მნიშვნელოვნად შეზღუდულია. ამ ქვეყნებში ქალები აღიქმებიან საზოგადოების მეორეხარისხოვან წევრებად. ემპირიული კვლევები აჩვენებენ, რომ სოციალური ცვლილების მიღწევა ისლამურ ავტორიტარულ სახელმწიფოებში მხოლოდ პროტესტის გზით არის შესაძლებელი. რაც უფრო მაღალია პროტესტის ხარისხი/მუხტი, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ ხელისუფლება მიდის დათმობებზე.

საუდის არაბეთსა და ირანში სახელმწიფოში სულ უფრო ხშირად დაიკვირვება პროტესტი, განსაკუთრებით ქალთა. კვლევის ჰიპოთეზა ჩამოყალიბდა არჩევანის კვანძების მოდელისა და ავტოკრატული ჯენდერვოშინგის (genderwashing) საფუძველზე. კვლევა თვისებრივია და იყენებს ამ მეთოდოლოგიის შემდეგ ტექნიკებს: ქეისის შესწავლის მეთოდი, შემთხვევის შედარებითი ანალიზი; თვითოეული ქეისი შესწავლილ იქნა პროცესის მიდევნების მეთოდით და კვლევისათვის მნიშვნელოვანი ვებ-გვერდების დისკურს-ანალიზით.

კვლევამ აჩვენა, რომ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, რომელშიც ქალთა საპროტესტო მუხტი და პროტესტთა სიხშირე მაღალია, მთავრობის მხრიდან დათმობებს თითქმის არ ვხვდებით. განსხვავებით ირანის ქეისისა, საუდის არაბეთში, რომელშიც ქალთა საპროტესტო მოძრაობები გაცილებით იშვიათად და დაბალი ინტენსივობით იჩენს თავს, განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, სულ უფრო მეტ უფლებებს ანიჭებს მთავრობა ქალებს.

კვლევა დეტალურად აანალიზებს იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, თუ რა განაპირობებს ირანის შემთხვევაში ქალთა პროტესტის შედარებით ნაკლებ წარმატებას მაშინ, როდესაც ქალთა ნაკლებად მასობრივი და იშვიათი პროტესტები საუდის არაბეთში სერიოზულ შედეგებს იძლევა.

საძიებო სიტყვები: სოციალური მოძრაობა, ჩუმი მოძრაობა, ქალთა პროტესტი, რეპრესია, დათმობა, საუდის არაბეთის სამეფო, ირანის ისლამური რესპუბლიკა, ავტოკრატიული ჯენდერვოშინგი, არჩევანის კვანძების მოდელი.

ABSTRACT

In the strong authoritarian Islamic states, the Islamic Republic of Iran and the Kingdom of Saudi Arabia, the women's rights are violated. In both countries the women are perceived as the secondary citizens. The empirical researches show that the social changes for the women in islamic authoritarian countries could be achieved only through the protest actions. The higher the level of the protest, the higher is the likelihood that the government will make any concession.

Recently, in both states has been observed the protests, especially of the women. The hypothesis was derived from the basis of autocratic genderwashing and based on the choice point model. The study is qualitative and uses the following techniques of this research methodology: case study; comparative case study analysis. To follow underwent protestations the method of process-tracing has been applied along with discourse-analysis of the web-pages of described events.

The study shows that in the Islamic Republic of Iran the number and intensity of women's protests is high, though the authority rarely makes concessions. Unlike Iran, there are less women social movements in Saudi Arabia, especially in the recent years, consequently, the government made a decision to expand women's rights at least on a normative level.

The thesis makes an in-depth analysis of the factors why women protests in Iran have failed to get significant concessions from the government, while less frequent, though more silent protests of Saudi women partially achieved their goals at least.

Key words: Social movement, social non-movement, women protest, repression, concession, Kingdom of Saudi Arabia, Islamic Republic of Iran, autocratic genderwashing, choice point model.

მადლობა

მადლობას ვუხდი ყველა იმ პირს, მათ შორის პროფესორებსა და თანაკურსელებს, რომლებმაც გამიწიეს მნიშვნელოვანი დახმარება კვლევის პროცესში. განსაკუთრებული მადლობა იმ პროფესორებს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით საკვლევი იდეის ჩამოყალიბებასა და ამ იდეის სისრულეში მოყვანაში; მათ შორის, მადლობას ვუხდი კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს, სრულ პროფესორს, ბატონ გიორგი სანიკიძეს.